განმარტებითი ბარათი
დადგენილების პროექტზე
„ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5,0 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10551,8 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 945,0 ათასი ლარით (9,8%-ით).

გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10051,8 ათასი ლარით; 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,6%-ით (795,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით; ქონების გადასახადის საპროგნოზო

მაჩვენებელი შეადგენს 500,0 ათას ლარს; 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 150,0 ათასი ლარით.

გრანტები

სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები განისაზღვრება 176,0 ათასი ლარით.

შემოსავლები საკუთრებიდან

განსაზღვრულია 1272,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტები 50,0 ათასი ლარი, რენტა 1222,2 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან

განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 5,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 75,0 ათასი ლარი; შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 20 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან

განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 10,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 12800,0 ათას ლარს, პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 715,0 ათასი ლარი

ვანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილიც. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სკვერების და ბილიკების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; სამოქალაქო ბიუჯეტი;

დასუფთავება - 850,0ათასი ლარი

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

განათლება - 3000,0 ათასი ლარი

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2380,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1140,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -100,0 ათასი ლარი.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მმართველობა - 4615,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	ვანის მუნიციპალიტეტი	20340.7	10580.8	9759.9	20885.0	9166.0	11719.0	12800.0	176.0	12624.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3699.2	90.0	3609.2	4767.1	137.0	4630.1	4615.0	0.0	4615.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	3466.4	90.0	3376.4	4534.5	137.0	4397.5	4385.0	0.0	4385.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	919.4	0.0	919.4	1111.0	0.0	1111.0	1220.0	0.0	1220.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2410.9	0.0	2410.9	3269.7	0.0	3269.7	3165.0	0.0	3165.0
01 01 03	მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	136.1	90.0	46.1	153.8	137.0	16.8	0.0	0.0	0.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	232.8	0.0	232.8	232.6	0.0	232.6	230.0	0.0	230.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	149.7	0.0	149.7	150.0	0.0	150.0	150.0	0.0	150.0
01 02 03	ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	83.1	0.0	83.1	82.6	0.0	82.6	80.0	0.0	80.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10493.4	9718.1	775.3	8136.8	7491.2	645.6	565.0	0.0	565.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7686.6	7146.3	540.3	6277.2	5981.8	295.4	350.0	0.0	350.0
02 02	ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	49.3	0.0	49.3	0.0	0.0	0.0
02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	62.3	58.8	3.5	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	205.6	0.0	205.6	205.0	0.0	205.0	215.0	0.0	215.0
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1921.6	1898.4	23.2	838.4	777.4	61.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	679.6	673.4	6.2	704.6	673.2	31.4	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება	644.6	0.0	644.6	1050.0	317.0	733.0	1000.0	0.0	1000.0

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
03 01	მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება	644.6	0.0	644.6	733.0	0.0	733.0	850.0	0.0	850.0
03 02	დასუფთავების მომსახურების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	317.0	317.0	0.0	150.0	0.0	150.0
04 00	განათლება	2741.9	697.7	2044.2	3154.4	581.0	2573.4	3000.0	0.0	3000.0
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2039.3	0.0	2039.3	2550.0	0.0	2550.0	3000.0	0.0	3000.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	300.0	295.1	4.9	32.0	8.6	23.4	0.0	0.0	0.0
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	328.9	328.9	0.0	456.7	456.7	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	73.7	73.7	0.0	115.7	115.7	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	1754.4	0.0	1754.4	2128.5	0.0	2128.5	2380.0	0.0	2380.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	681.4	0.0	681.4	815.0	0.0	815.0	950.0	0.0	950.0
05 01 01	სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	12.0	0.0	12.0	20.0	0.0	20.0	30.0	0.0	30.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა	227.6	0.0	227.6	308.0	0.0	308.0	350.0	0.0	350.0
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	247.3	0.0	247.3	275.0	0.0	275.0	320.0	0.0	320.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	194.5	0.0	194.5	212.0	0.0	212.0	250.0	0.0	250.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1029.8	0.0	1029.8	1263.5	0.0	1263.5	1380.0	0.0	1380.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	517.8	0.0	517.8	612.0	0.0	612.0	690.0	0.0	690.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	412.0	0.0	412.0	550.0	0.0	550.0	590.0	0.0	590.0
05 02 03	კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
05 03	კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება	43.2	0.0	43.2	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	942.9	75.0	867.9	1568.2	639.8	928.4	1140.0	176.0	964.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	108.7	75.0	33.7	123.0	123.0	0.0	140.0	140.0	0.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	108.7	75.0	33.7	123.0	123.0	0.0	140.0	140.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	829.6	0.0	829.6	1440.2	516.8	923.4	995.0	36.0	959.0
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	72.7	0.0	72.7	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	30.7	0.0	30.7	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
06 02 03	სამედიცინო დახმარება	360.7	0.0	360.7	400.0	0.0	400.0	400.0	0.0	400.0
06 02 04	ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება	83.3	0.0	83.3	110.0	0.0	110.0	125.0	0.0	125.0
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	69.4	0.0	69.4	76.0	0.0	76.0	76.0	0.0	76.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	45.0	0.0	45.0	53.4	0.0	53.4	50.0	0.0	50.0

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	43.5	0.0	43.5	556.8	516.8	40.0	80.0	0.0	80.0
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	12.7	0.0	12.7	13.0	0.0	13.0	15.0	0.0	15.0
06 02 10	მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება	22.5	0.0	22.5	22.0	0.0	22.0	22.0	0.0	22.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	34.5	0.0	34.5	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0
06 02 12	ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	2.3	0.0	2.3	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
06 02 13	ბინის ქირით უზრუნველყოფა	5.8	0.0	5.8	12.0	0.0	12.0	20.0	0.0	20.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	16.2	0.0	16.2	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
06 02 15	მარტოხელა მშობელთა დახმარება	5.1	0.0	5.1	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
06 02 16	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა	18.2	0.0	18.2	30.0	0.0	30.0	40.0	36.0	4.0
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	4.6	0.0	4.6	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	64.3	0.0	64.3	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	64.3	0.0	64.3	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4615,0 ათასი ლარი; ბ) ეკონომიკური საქმიანობა - 450,0 ათასი ლარი; გ) გარემოს დაცვა - 850,0 ათასი ლარი; დ) საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 365,0 ათასი ლარი; ე) ჯანმრთელობის დაცვა - 140,0 ათასი ლარი; ვ) დასვენება, კულტურა და რელიგია -2380,0 ათასი ლარი; ზ) განათლება - 3000,0 ათასი ლარი; თ) სოციალური დაცვა - 1000,0 ათასი ლარი;

„ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

ა) ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;

ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა;

გ) ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

დ)ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების / ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების ინდიკატორების შესახებ (პროგრამული დანართი);

ე) ვანის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი